ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4074381

ნომერი: AR1615180

თარიღი : 11.07.2018

გაცემის თარიღი : 18.07.2018

გაცნობის თარიღი : 18.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი; ქალაქი თბილისი , აეროპორტი; ქალაქი თბილისი , აეროპორტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, ეროპორტი, შპს "საქართველოს ფოსტა" -ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ლითონის მავთულბადის (ხვიარა მავთულით დაბოლოებით) ღობისმოწყობისა და დაცვის ფუნქციის ჯიხურის ტიპის შენობის მშენებლობის განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნე-ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 892018486787 ; N 892018486758; N 892018486724 საკადასტრო კოდი N 01.19.30.001.256; N 01.19.30.001.255 ; N 01.19.30.001.254 ;სიტუაციური გენ- გეგმა ,შესაბამისი სამსახურების წერილები და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, ეროპორტი, შპს "საქართველოს ფოსტა" -ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ლითონის მავთულბადის (ხვიარა მავთულით დაბოლოებით) ღობისმოწყობისა და დაცვის ფუნქციის ჯიხურის ტიპის შენობის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას სამივე საკადასტრო საზღვრის არეალში. ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის,სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

1 საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შენთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის,ფანჯრის, ფრამუგის და შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);

2 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე,მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/ მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;

3 სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე–არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით;

-ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში და ტერიტორიის წინმდებარე ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის გამო, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობს საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

–მშენებლობის წარმოებისას მაქსიმალურად დაცული და შენარჩუნებული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგაობა, საპროექტო ობიექტი განთავსდეს არსებული ხეებიდან სავალდებულო მანძილის დაცილებით, ხოლო ხის– მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან

-შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ 2018 წლის 06 ივლისის N519 წერილის შესაბამისად, მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე საპროექტო დოკუმენტაცია შესათანხმებლად წარუდგინოს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“.

-მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე მოიპოვოს სს „თელასის“ თანხმობა განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

-მშენებლობისას სავალდებულოა დაცული იქნას შპს „საქაერონავიგაციის“ 2018 წლის 06 ივნისის N8/684 წერილში მითითებული მოთხოვნები და პირობები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.